ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:ბ48. 482501719
თარიღი:17/01/2025

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ 2025 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის "წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის №42 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-6 მუხლის, მე-3 პუნქტის „დ.გ“ ქვეპუნქტის, „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 26 დეკემბრის №38 დადგენილების, „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“-ს (ს/კ 421274506) წესდების ახალი რედაქციით დამტკიცების შესახებ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 12 დეკემბრის ბ48.482334620 ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-9 პუნქტის და ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მმართველის 2025 წლის 17 იანვრის №5/21 წერილის შესაბამისად.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ 2025 წლის ხარჯთაღრიცხვა დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს "არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის 2024 წლის ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერის 2024 წლის 12 იანვრის №48.482401213 ბრძანება.

3. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაეკისროს ა(ა)იპ „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მმართველს (რ.მესხი)

4. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY №2
221274546

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი